საქართველოს მთავრობის განკარგულება

N994 2016 წლის 2 ივნისი ქ. თბილისი

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისა და მაღალმთიან დასახლებებში საჯარო ან კერძო პროექტების განხორციელებისათვის, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან:

ა) არა უმეტეს 10 (ათი) მილიონი ლარი მიიმართოს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების“ შესაბამისად;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის არა უმეტეს 10 (ათი) მილიონი ლარის გამოყოფა მის მიერ წარდგენილი წინადადებების საფუძველზე „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამით „აწარმოე საქართველოში“ განსაზღვრული ინდუსტრიული, მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი